პროგრამის მიზანია სკოლამდელი დაწესებულებების თანაბრად, ხელმისაწვდომობა, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდება. უსაფრთხო და მიმზიდველი გარემოს შექმნა.

ბ) პროგრამა: საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 02). საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დედეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტირება და გარდამავალი ვალდებულებების გათვალისწინება.
პროგრამის მიზანია : ზოგადი განათლების ხელშეწყობა.

4. პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

პრიორიტეტი მოიცავს უამრავ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, ისტორიულ ადგილებს, ტურისტულ მარშრუტებს. მუნიციპალიტეტიდან ადგილობრივი ახალგაზრდების მიგრაციის თემა, შიდა თუ საერთაშორისო ტურისტული ნაკადების გაზრდა. ამისთვის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას, ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას, ინოვაციების ხელშეწყობას და განათლების პარალელურად მოზარდი და ახალგაზრდა თაობებისთვის კულტურისა და სპორტის განვითარებას. მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენებისთვის შესაბამისი პირობების შექმნას, ხელოვნების და კულტურის დარგის გამოჩენილი ახალგაზრდების წახალისებას. ყველა მოზარდს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოავლინოს ნიჭი და უნარი. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით მუნიციპალიტეტში სისტემატიურად ტარდება სხვადასხვა სპორტული თუ კულტურული ღონისძიებები.

ა) პროგრამა : სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01). პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება და სპორტული ობიექტების დაფინანსება. ასევე მოხდება სპორტული მოედნების მოწყობა - რეაბილიტაცია.

პროგრამის ფარგლებში სპორტსმენების ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული წყალტუბოელი სპორტსმენების წახალისება.

მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია.

პროგრამის მიზანია მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და მოზარდების, მ.შ. როგორც გოგონების, ასევე ბიჭების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში;

ა.ა) ქვეპროგრამა: სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01). ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას, საერთაშორისო ხასიათის სპორტული ტურნირების ჩატარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. ასევე, მოხდება წარმატებული სპორტსმენების წახალისება, ვეტერანი და დამსახურებული სპორტსმენების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით.

ქვეპროგრამის მიზანია: სპორტის განვითარების ხელშეწყობისთვის მასობრივი ღონისძიებების გატარება და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა.

ა.ბ) ქვეპროგრამა: სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02) ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული დაწესებულებების დაფინანსება სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; სპორტული ტრადიციების დაცვის, გაღმავების, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის; სპორტის განვითარების; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისათვის. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მაღალი მიღწევების სპორტის, სამწვრთნელო-საშეჯიბრო საქმიანობის მხარდაჭერა, ადგილობრივ სპორტსმენტთა განვითარების ხელშეწყობა, რაც მიმართულია სპორტსმენტთა მიერ სპორტულ შეჯიბრებებში მაღალი სპორტული შედეგების მიღწევაზე.

სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოასპარეზე 18 წლამდე ასაკის პერსპექტიული სპორტსმენების ფინანსური წახალისება, რაც გაზრდის მათ მოტივაციას სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიმართ. ამასთან, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს პირველობებში, ჩემპიონატებში, თასის გათამაშებებში და საერთაშორისო ტურნირებში მაღალი შედეგების მიღებას, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. გაზრდის პროფესიონალური სპორტის პოპულარობას, სწორად წარმართავს ბავშვთა და მოზარდთა შორის თავისუფალი დროის გამოყენებას.

ქვეპროგრამა მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია: სპორტის (პარასპორტის) განვითარებაზე, საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობის საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (ეროვნულ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობაზე, მუნიციპალიტეტის ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარებაზე, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებაზე, ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ადგილობრივი ან საერთაშორისო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდების წევრთა მიერ საპრიზო ადგილების დაკავებას. სპორტის სხვადასხვა სახეობებში პირველობების, ჩემპიონატების, თასების გათამაშებების, მასობრივი სპორტული ღონისძიებების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების,

სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება და სპორტსმენთა მივლინება საერთაშორისო ტურნირებზე; მასობრივი სპორტის პოპულარიზაციაზე და ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში. კლუბების საჭირო ინვენტარით და სპორტსმენთა ეკვიპირებით უზრუნველყოფა და ა.შ. პროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მ. შ. ქალთა შორის სპორტული სახეობების პოპულარიზაციას და ქალთა გუნდების ჩამოყალიბებას

მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია.

ქვეპროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; ხელი შეუწყოს მაღალი მიღწევების სპორტში მეტი მოზარდის ჩართვას. მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენას ქვეყნის მასშტაბით.

ა.ბ.ა) ქვეპროგრამა: წყალტუბო არენა (პროგრამული კოდი 05 01 02 01). ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას. სულ წყალტუბო არენაში დასაქმებულია 17 თანამშრომელი (ქალი - 4, კაცი - 13).

ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნა დაგეგმილი მატჩებისათვის.

ა.ბ.ბ) ქვეპროგრამა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 01 02 02). ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდი ჩართოს სპორტში, რათა სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. ამ მიზნით ქვეპროგრამა აერთიანებს 14 სპორტულ მიმართულებას: რაგბი (118 სპორტსმენი), ხელბურთი (77 სპორტსმენი მ/შ 20 გოგონა), ფრენბურთი (64 სპორტსმენი მ/შ 35 გოგონა), კალათბურთი (49 სპორტსმენი), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (45 სპორტსმენი), ქართული ჭიდაობა (35 სპორტსმენი), ძიუდო (101 სპორტსმენი მ/შ ქალი 10), ძალოსნობა (39 სპორტსმენი მ/შ 6 გოგონა), მძლეოსნობა (11 სპორტსმენი მ/შ გოგონა 10), მკლავჭიდი (19 სპორტსმენი მ/შ 1 გოგონა), კრივი (15 სპორტსმენი მ/შ 3 გოგონა), ჭადრაკი (19 სპორტსმენი მ/შ 3 გოგონა), მაგიდის ჩოგბურთი (21 სპორტსმენი მ/შ 6), ტანვარჯიში (20 სპორტსმენი მ/შ 10 გოგონა). სულ სპორტის სახეობებს ეუფლება 633 სპორტსმენი. სპორტული კლუბების გაერთიანებაში დასაქმებულია ჯამში 53 ადამიანი, მათ შორის ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი 24 და 29 მწვრთნელი, მათ შორის ქალი - 14, კაცი - 39. გაერთიანების სპორტსმენები მონაწილეობენ საქართველოს, საერთაშორისო, ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით გამართულ ტურნირებსა და პირველობებში.

ქვეპროგრამის მიზანია: სპორტის სხვადასხვა სახის პოპულარიზაცია; ხელი შეუწყოს მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

ა.ბ.გ) ქვეპროგრამა: სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 02 04). ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია - მოწყობა, კერძოდ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ კვიტირში და ქალაქ წყალტუბოში დედა-ენის, ნინოშვილის ქუჩებზე მინი სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოები. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი

აუცილებლობის გათვალისწინებით. სპორტული ობიექტებიგულისხმობს სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა და სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია; ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მოსახლეობის მასობრივად ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის აუცილებელია მოზარდი ახალგაზრდობის ჩართულობა ფიზიკურ და სპორტულ აქტივობებში, ამისათვის საჭიროა ახალი, რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი ადაპტირება როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა საჭიროებებზე.

ქვეპროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; ქალაქში სპორტული ინფრასტრუქტურის განახლება და შექმნა, მისი ადაპტირება ქალთა და მამაკაცთა საჭიროებებზე.

ბ) პროგრამა: კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02). პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი. ასევე მოხდება რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელია წლის მანძილზე ჩატარდეს სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები და საერთაშორისო კულტურული აქტივობები.

პროგრამის მიზანია: სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება.

ბ.ა) ქვეპროგრამა: კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01). პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელია წლის მანძილზე ჩატარდეს სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები და საერთაშორისო კულტურული აქტივობები. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი.

პროგრამის მიზანი: სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება

ბ.ა. ა) ქვეპროგრამა: წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდობის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. ხელოვნებასთან ზიარებით პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა.

კულტურული განვითარება. დაწყებითი სამუსიკო, სამხატვრო და არაფორმალური განათლების მიღება. ახალგაზრდებისთვის შემეცნებითი, შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება. მოსწავლეებისთვის ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის ქართული და მსოფლიო ნიმუშების გაცნობა. მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება. სულ ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში დასაქმებულია 76 თანამშრომელი (ქალი - 60, კაცი - 16).

ქვეპროგრამის მიზანია: ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა შემოქმედებით საქმიანობაში.

ბ.ა.ბ) ქვეპროგრამა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებსა, რასაც რასაც ემსახურება ცენტრში შემავალი 3 მუზეუმი, 28 ბიბლიოთეკა, 2 კულტურის სახლი და 10 სასოფლო კლუბი. ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება ასევე სასოფლო ბიბლიოთეკების უფასო ინტერნეტით აღჭურვა, რომლითაც აქტიურად სარგებლობს სოფლის მოსახლეობა, ტარდება გასართობი და შემოქმედებითი ღონისძიებები. მუზეუმებში ტარდება გამოფენები, სამეცნიერო კონფერენციები, მუნიციპალიტეტის ვეტერანებთან და გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრები.

ქვეპროგრამის მიზანია: ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ახალგაზრდები ჩართულობა.

ბ.ა.გ) ქვეპროგრამა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, შიდა ტურიზმის სრული კოორდინაცია, კურორტის პოპულარიზაცია.

პროგრამის ღონისძიებები გათვლილია ადგილობრივ მოსახლეობასა და ვიზიტორებზე და ზოგადად ითვალისწინებს გენდერულ თანაფარდობას მისი სარგებლობისა და ხელმისაწვდომობის პარამეტრში. პროგრამის ამოცანებია შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა, სახვადასხვა ღონისძიებების, ფორუმების, კონფერენციების, გამოფენების გამართვის/მონაწილეობის გზით მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია, მიმზიდველობის ზრდა, მიზნობრივი ბაზრებიდან ტურისტების მოზიდვა, ტურისტულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ასევე მუნიციპალიტეტის მდგრადი ტურისტული განვითარებისთვის სტრატეგიის შემუშავება. მიზნების მისაღწევად, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები: მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნა; სარეკლამო და საინფორმაციო ბეჭდური მასალების შექმნა და გავრცელება; ქალაქის რეკლამირება მიზნობრივ ბაზრებსა და ღონისძიებებზე; ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში შესაბამისი მასალების განთავსება; ტურისტების საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა. სულ ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრში დასაქმებულია 7 თანამშრომელი (ქალი - 7).

ქვეპროგრამის მიზანია: საერთაშორისო მიზნობრივ ბაზრებზე ტურისტული ადგილების შესახებ ცნობადობის ამაღლება და ტურისტული პოტენციალის გაუმჯობესება.

ბ.ბ) ქვეპროგრამა: კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02). მუნიციპალიტეტის მასშტაბით წლის მანძილზე განხორციელდება სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა, კულტურული დღეები, გამოფენები, კორკურსები და სხვა კულტურული აქტივობები. ქვეპროგრამის მიზანია ქალაქის კულტურული ცხოვრების მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა.

ბ.გ) ქვეპროგრამა: რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03) ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების რეაბილიტაციასა და ახალის მშენებლობას.

ქვეპროგრამის მიზანი: ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

გ) პროგრამა: ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03). პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდობისათვის ისეთი გარემოს შექმნა სადაც ახალგაზრდებს აქვთ თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობა. ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გააქტიურებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზებითა და ინიციატივების მხარდაჭერის გზით. პროგრამის ფარგლებში მოხდება შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება.

ქვეყნის დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებითვის ახალგაზრდობა მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს. რაც ქმნის იმის საჭიროებას, რომ ადგილობრივ დონეზე, განხორციელდეს მათი მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა.

თანამედროვე სამყაროში ახალგაზრდები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, სწრაფად ცვალებადი გარემო და ტექნოლოგიების განვითარება, განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ახალგაზრდებს. ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან გარდა ფორმალურისა, საჭიროა არსებობდეს ხელმისაწვდომი არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდების სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობები.

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 დადგენილების „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, თანახმად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყოს კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელებას, აგრეთვე მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა.

5. პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00).

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო

ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

ა) პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01). პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა, კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის გარკვეული კატეგორიებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

ა.ა) ქვეპროგრამა: საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01). ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდემიადამხვედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა, ანტირაბიულ კაბინეტზე მეთვალყურეობა და სისტემური მონიტორინგი, პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა; ცხოვრების ჯანსაღი წესის გატარება; სამედიცინო სტატისტიკის მონიტორინგი; იმუნური პროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით; ცივი ჯაჭვის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ყოველთვიური მონიტორინგი პირველადი ჯანდაცვის რეგიონებში; COVID -19-ის ტესტირება დაავადებულების მოკვლევა დადგენილი წესის მიხედვით; C ჰეპატიტის სკრინინგი და დადებით შემთხვევაში მკურნალობა.

სულ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში დასაქმებულია 15 თანამშრომელი (ქალი - 14, კაცი - 1).

ქვეპროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

ბ) პროგრამა: სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02). პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის მიზანია: სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალურ ეკონოლიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაცია. მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა. მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა.

ბ.ა) ქვეპროგრამა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი (პროგრამული კოდი 06 02 01). ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, კერძოდ სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი უზრუნველყოფა კვებით. მიმდინარე პერიოდისთვის პროგრამით სარგებლობს 200 ბენეფიციარი (მათ შორის 133 ქალი და 67 კაცი). იგეგმება 20 ბენეფიციარის დამატება. სულ სათნოების სახლში დასაქმებულია 10 თანამშრომელი (ქალი - 7, კაცი - 3). ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შინ მიტანის სერვისი, რომელიც დაინერგა 2020 წლიდან.

ქვეპროგრამის მიზანია: სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა. შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირების თანადგომა.

ბ.ბ) ქვეპროგრამა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02). ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა (100 და მეტი წლის ასაკის) მატერიალური დახმარება, თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით. თანხა გაიცემა ყველა იმ ბენეფიციარზე, რომელსაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეუსრულდა ან მისი ასაკი აღემატება 100 წელს.

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ხანდაზმული მოქალაქეების თანადგომა და მხარდაჭერა,

ბ.გ) ქვეპროგრამა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (პროგრამული კოდი 06 02 03). ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მშობლები) ერთჯერადი ფულადი დახმარება: ა) მესამე შვილის შეძენისას – 500 ლარი, ბ) მეოთხე შვილის შეძენისას – 700 ლარი, გ) მეხუთე და მეტი შვილის შეძენისას – 1000 ლარი, დ) ერთი და მეტი ტყუპის შეძენისას - 500 ლარი; ე) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი გაიცეს ერთჯერადად 300 ლარი.

ამ სოციალური პროგრამის ა, ბ, გ, დ, ქვეპუნქტები ვრცელდება იმ ოჯახებზეც, რომელთა შვილები დაიბადა 2023 წლის ნოემბერ-დეკემბერში და არა აქვთ მიღებული ერთჯერადი დახმარება.

ქვეპროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, მათი თანადგომა და მხარდაჭერა.

ბ.დ) ქვეპროგრამა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 04).

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად გათვალისწინებულია 300 ლარი, ხოლო უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით 400 ლარის ოდენობით.

ასევე გათვალისწინებულია დახმარება ახალი კორონავირუსის ინფექციით გარდაცვლილ პირთა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტონგო ქულა მონაცემთა ერთიან ბაზაში განსაზღვრულია 0-დან 65 000-ის ჩათვლით, თითოეულზე 400 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის მიზანია: გარდაცვლილ მოქალაქეთა პატივგება.

ბ.ე) ქვეპროგრამა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05). აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება განისაზღვრება შემდეგ კატეგორიებზე:

ა) დიდი სამამულო ომის მონაწილის დახმარება -1 000 ლარი;

ბ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე პირის დახმარება - 350 ლარი;

გ) ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირის დახმარება - 500 ლარი;

დ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დახმარება, რომელსაც სტატუსი მიენიჭა თვალის დაავადების დიაგნოზით - 400 ლარი;

ე) თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე; ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქის დახმარება -2000 ლარი;

ვ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის დახმარება, გარდა ცერებრალური დამბლით დაავადებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვისა - 400 ლარი;

ზ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის (კონპესაცია, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღების დახმარება 350 - ლარი;

თ) სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ომის მონაწილის დახმარება თითოეულს - 350 ლარი.

ი) 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირის ოჯახის (ოჯახის წევრის რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად) ფულადი დახმარება - 1800 ლარი;

კ) ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირის დახმარება (გინეკოლოგის ან / და რეპროდუქტოლოგის დახმარება კონსულტაცია ან / და შესაბამისი სამედიცინო კვლევები) არაუმეტეს 200 ლარი.)

ლ) 2024-2025 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი „ჩვენი სახლის“ ბენეფიციარი ბავშვის დახმარება 150 ლარის ოდენობით.

მ) სოციალურად დაუცველ ოჯახის, რომლიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 0-დან 65 000 -ი ქულის ჩათვლით, პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება - 300 ლარი.

ნ) სადღესასწაულოდ (აღდგომა) სოციალურად დაუცველ ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიანი ბაზის მიხედვით 0-დან 30001 ჩათვლითაა, 100 წელს გადაცილებული პირებისათვის, დიდი სამამულო ომის მონაწილეებისათვის და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ინკლუზიური ცენტრის ბენეფიციარი 18 წლამდე ბავშვებისათვის, ასევე შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ზემოთ ჩამოთვლილ არცერთ კატეგორიას, კვების პროდუქტებით დახმარება, თითოეულ ოჯახს არაუმეტეს 80 ლარის ღირებულებისა.

ო) ონკოლოგიური დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვის (ლეიკემია, ლიმფოგრანულომატოზი, ანემია, სხვადასხვა სახის სიმსივნეები) დახმარება - 2000 ლარი

პ) ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება - 2000 ლარი.

ჟ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის დახმარება -300 ლარი.

რ) ფსორიოზით დაავადებულ პირთა დახმარება -400 ლარი.

ს) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება, რომლებიც სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მათი სოციალური მდგომარეობა მძიმეა მშობლების გარდაცვალების, ან/და უგვზოუკვლოდ დაკარგვის, გამო. სტუდენტების თანადაფინანსება განისაზღვროს გადასახდელი თანხის 50% არაუმეტეს 2000 ლარისა.

ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, თანადაფინანსება განისაზღვრება გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს 2000 ლარისა.

ტ) პარკისონით დაავადებულ პირთა დახმარება -400 ლარი

უ) შშმ 18 წლამდე სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის სასმენი აპარატის შეძენა, თანხის ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 1500 ლარისა.

ფ) 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 0- დან 120000 ქულის ჩათვლით) პირველკლასელებისათვის სასკოლო ნივთების შესაძენის მიზნით 100 ლარი.

ქ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, რომელსაც სტატუსი მიენიჭა თვალის დაავადების დიაგნოზით, დამოუკიდებლად საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის ხელშეწყობის მიზნით, სპეციალური ტექნიკის შესაძენად თანხის გამოყოფა არაუმეტეს – 350 ლარისა.

ღ) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილების მიღებამდე ხანდაზმულთა სპეციალიზირებულ დაწესებულებაში გადაყვანის ხარჯების ანაზღაურება არაუმეტეს - 1500 ლარისა. მომსახურების დაფინანსების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია სპეციალური შემადგენლობით.

ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცემა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობათა ერთობლიობით.

ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

ბ.ვ) ქვეპროგრამა: ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი (პროგრამული კოდი 06 02 06). ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარების (უნარშეზღუდულ ბავშვთა) ზრდა - განვითარების ხელშეწყობას, მათი იზოლაციიდან გამოყვანასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციას. სულ ინკლუზიური ცენტრში დასაქმებულია 18 თანამშრომელი (ქალი - 12, კაცი - 6). ა(ა)იპ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი-ში არსებული სერვისებით დღეის მდგომარეობით 15 ბენეფიციარი (მათ შორის: 5 გოგო და 10 ბიჭი) სარგებლობს.

ქვეპროგრამის მიზანია: შშმ პირის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ბ.ზ) ქვეპროგრამა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 07). ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციები, მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციები, (სამედიცინო ჩვენებით), სხვა სამედიცინო მომსახურება-იოდოთერაპია, რადიოსიხშირული აბლაცია, ლითოტრიფსია, ქიმიო, ჰორმონო, სხივური თერაპია და სხვა. ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული და სხვა

სახის კვლევები, რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით ან არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით. სამედიცინო მომსახურების ღირებულება თანადაფინანსების წესით, ანაზღაურდება წელიწადში ერთხელ, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს -1000 ლარისა.

ონკოლოგიური დავადების მქონე პირების მკურნალობა-ოპერაციების, სამედიცინო კვლევების, ქიმიო, ჰორმონო და სხივურ თერაპიის და სხვა. პროცედურების თანადაფინანსებისათვის საგარანტიო წერილი გაიცემა წელიწადში ორჯერ ზემოთ აღნიშნული თანადაფინანსების წესით.

ქვეპროგრამით დაფინანსდებიან სხვადასხვა დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვები, რომელთა აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში და ნაწილობრივ დაფინანსებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი პროგრამებით. მუნიციპალიტეტის მხრიდან მატერიალური დახმარების სახით გაიცემა თანხა 5000 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან ასევე 2 წლიდან 15 წლის ასაკის ჩათვლით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვები, რომლებსაც გააჩნიათ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0 - F84.9) ჯგუფის დიაგნოზი ძირითად დიაგნოზად:

ა) F84.0 ბავშვთა აუტიზმი.

ბ) F84.1 ატიპიური აუტიზმი.

გ) F84.2 რეტის სინდრომი.

დ) F84.3 ბავშვთა სხვა დეზინტეგრაციული აშლილობა.

ე) F84.4 ჰიპერაქტიური აშლილობა თანმხლები გონებრივი ჩამორჩენილობით და სტერეოტიპული მოძრაობებით.

ვ) F84.5 ასპერგერის სინდრომი.

ზ) F84.8 განვითარების სხვა ზოგადი აშლილობანი.

თ) F84.9 განვითარების ზოგადი აშლილობა დაუზუსტებელი.

ასევე დაფინანსდებიან 2-15 წლამდე ასაკის ბავშვები სხვა გონებრივი ჩამორჩენილობით (F-78.0-78.9) რომელთაც ძირითად დიაგნოზად განესაზღვრათ:

ა) F78.0 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. ქცევის აშლილობა არ არსებობს ან მინიმალურია.

ბ) F78.1 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. არსებობს ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობა, რომელიც მოითხოვს ყურადღებას და მკურნალობას.

გ) F78.8 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. სხვა ქცევითი აშლილობანი.

დ) F78.9 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. განუსაზღვრელი ქცევითი აშლილობა.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება ყოველთვიურად ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს თვეში 420 ლარისა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე მედიკამენტების შესაძენად დაფინანსდებიან განსაკუთრებით მძიმე და საშიში დაავადების მქონე პირები. თანხის ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი კომისია.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების სტაციონალური მკურნალობის თანადაფინანსება, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს -200 ლარისა.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტების მგზავრობის ხარჯები, რომელიც ბავშვისთვის ბუნებრივ გარემოში (სახლი, ბაღი, და ა.შ.) განახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 0-დან 7 წლამდე ბავშვთა ადრეული განვითარების მხარდაჭერის პროგრამის მიწოდებას, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვებისათვის. მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება მოხდება თვეში ერთხელ არაუმეტეს 550 (ოთხასორმოდდაათი) ლარისა, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის ანგარიშზე.

ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსება და პრევენციის შედეგად გაუმჯობესებული ჯანმრთელობა.

ადრეული ინტერვენციის მომსახურების მიწოდებით ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირებას, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას, შესაძლებლობის შეზღუდვისა და მიტოვების პრევენციას.

ბ.თ) ქვეპროგრამა: სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08). აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 2024 წელს მომხდარი ხანძრის, სტიქიის - მიწისძვრის, მეწყრის, ჩამოცვენის, ჩამოშლის, ქვათა ცვენის, კარსტული ჩამოქცევის, ღვარცოვის, წყალდიდობის, წვიმის (თოვლის) წყალმოვარდნის, ქარიშხლის, ძლიერი ქარის, გრიგალის, ძლიერი ქარბუქის, დიდთოვლობის, ძლიერი გაყინვის, მსხვილი სეტყვის, ძლიერი წვიმების, ხანგრძლივი წვიმების, კოკისპირული წვიმების, გვალვის, ზვავის, ხანძრის და სხვა ბუნებრივი ან/და ტექნოგენური ან/და საგანგებო ხასიათის მოვლენების შედეგად დაზარალებული, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის დახმარება განისაზღვრება წელიწადში ერთჯერადად არაუმეტეს - 5000 ლარი.

დახმარება ვრცელდება 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულებზეც, რომელთაც მიღებული არ აქვთ - „სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა დახმარება“ 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარება.

ქვეპროგრამის მიზანია: პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა.

